ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ამა წლის 29 ოქტომბერს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარმა წევრმა, გავმართე შეხვედრა მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარვუდგინე მათ ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

ამა წლის #10/18494, 12.10.2015წ. წერილის შესაბამისად გიგზავნით აღნიშნულ ანგარიშს.

დანართი: 16 ფურცელი

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გლდანის რაიონის მუხიანის

მაჟორიტარი წევრი ქეთევან ჯოხაძე

17

№10/18494 29.10.15

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ქეთევან ჯოხაძის

გაწეული მუშაობის შესახებ

ანგარიში

2015 წელი

2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, 2014 წლის 14 ივლისის N1 განკარგულების საფუძველზე, საქმიანობას შეუდგა ქ.თბილისის საკრებულო ახალი შემადგენლობით.
ქ.თბილისის საკრებულოში წარმოვადგენ საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეულ წევრს (მუხიანის მაჟორიტარი დეპუტატი), 2014 წლის 22 ივლისის N 14 განკარგულების საფუძველზე ამირჩიეს ქ.თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ კომისიის თავმჯდომარედ, ასევე გახლავართ ქ.თბილისის ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორების" და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის წევრი.
საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, დეტალურად წარმოგიდგენთ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ:

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:

საანგარიშო პერიოდში (01.01.2015წ.-13.10.2015წ.) გაიმართა საკრებულოს 25 სხდომა, მათ შორის დავესწარი 23 სხდომას. საპატიო მიზეზით არ ვესწრებოდი ორ სხდომას(მივლინება საზღვარგარეთ), 17.04.2015წ. და 22.05.2015წ. მთლიანობაში მიღებული გვაქვს 101 დადგენილება და 380 განკარგულება.
დავესწარი საკრებულოს ბიუროს 39 სხდომას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკრებულო, მერიასთან ერთად, საგანგებო რეჟიმში მუშაობდა 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ. მერიასთან შეთანხმებით მოხდა სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის შემუშავება, რომელსაც ერთხმად დაუჭირა მხარი საკრებულოს 46 წევრმა.
წესის პროექტი წარადგინა მაშინდელმა ვიცე-მერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა. წესის მიხედვით დაზარალებულები ორ კატეგორიად დაიყო, პირველ კატეგორიაში შედიან ოჯახები, რომელთა საცხოვრებელი სახლებიც აღდგენას არ ექვემდებარება, ხოლო მეორე კატეგორიაში-ოჯახები, რომელთა სახლების აღდგენაც შესაძლებელია. წესი

ითვალისწინებს ზარლის ანაზღაურების ორ ვარიანტს და დაზრალებულს უფლება აქვს თავად აირჩიოს, თუ რომელი შეთავაზებით სურს ზარალის ანაზღაურება. ასევე, დაზარალებული ოჯახები მიიღებენ საოჯახო პაკეტის შესაძენად გამოყოფილ დახმარებას, კერძოდ 1 და 2-წევრიანი ოჯახი-8000 ლ., 3 და 4-წევრიანი ოჯახი 8700 ლარს, 5 და 6-წევრიანი ოჯახი-9400 ლარს და მეტწევრიანი ოჯახი-10500 ლ.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიამ ჩაატარა 24 სხდომა, რომლებზეც განხილულია 41 საკითხი. მომზადდა 25 დასკვნა.

როგორც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი, დავესწარი ამ კომისიის 36 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 56 საკითხის განხილვაში.

როგორც ფრაქცია ,,ქართული ოცნება - კონსერვატორები''-ს წევრი, დავესწარი ფრაქციის 7 სხდომას, რომელზეც განვიხილეთ 7 საკითხი.

- საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაცია:

ჩემი წინადადებითა და შუამდგომლობითა და სპორტის მინისტრის მხარდაჭერით მერიის მიერ მომზადდა და საკრებულომ დაამტკიცა დადგენილების პროექტი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წ. 30 დეკემბრის #20-90 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომელიც ეხება სპორტის სფეროს საწარმოების ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 0,001%-ს, რომელიც ძალაშია 2017წ. 1 იანვრამდე. მნიშვნელოვანია, რომ დაზოგილი თანხები, მოხმარდება სპორტის განვითარების ხელშეწყობას.

ჩემი და მერიის ძალისხმევითა და კერძო მეპატრონის კეთილი ნებით კომისიის მიერ 2014წ. განხილული საკითხი, რომელიც ეხებოდა პრეზიდენტის 2007 წ. განკარგულებით დიღმის მასივის III კვ–ში და სოფელ დიღომში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებას და ამავე მისამართზე სპორტული ბაზების გასხვისებას, გადაწყდა დადებითად, კერძოდ, სპორტული

ბაზები გადავიდა ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში და შეინარჩუნა პროფილი, სანაცვლოდ მფლობელს გადაეცა ალტერნატიული მიწის ნაკვეთი.

- **ამომრჩევლთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია:**

ყოველი კვირის ოთხშაბათს, როგორც საკრებულოს მაჟორიტარი წევრი გხვდებით თქვენ.

საანგარიშო პერიდში მაჟორიტარი წევრის ბიუროში 423 (ოთხას ოცდასამი) მოქალაქესთან შედგა შეხვედრა და გაიმართა 300-მდე სატელეფონო საუბარი. მოქალაქეებს გაეწიათ შესაბამისი დახმარება-კონსულტაცია. ბიურო მუშაობს ყოველდღე 10:00 - 18:00-მდე, შაბათ-კვირის გარდა. დღის განმავლობაში მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ სიტყვიერი თუ სამართლებრივ კონსულტაციები. სულ შემოსულია 100-ზე მეტი განცხადება, ოპერაციის დაფინასებასთან დაკავშირებით შემოსულია 49 განცხადება საერთო მოთხოვნილი თანხით 99 335 (ოთხმოცდაცხრამეტი ათას სამას ოცდათხუტმეტი) ლარი, აქედან 49 განცხადება დაკმაყოფილდა, უმრავლესობა სრულად, ნაწილი მოთხოვნილი თანხის 70%-ით, რაც ჯამში შეადგენს 67 547 (სამოცდაშვიდი ათას ხუთას ორმოცდაშვიდი) ლარს. ასევე გაიცა სხვადასხვა სახის რეკომენდაციები, კერძოდ: 28 ადამიანს დასაქმების თაობაზე გაეწია შუამდგომლობა. მედიკამენტები გადაეცა 9-ოჯახს, რომლის დაფინანსება უზრუნველყო თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა და დეპუტატის შუამდგომლობით გლდანის რაიონის გამგეობამ. ასევე მკურნალობისა და გამოკვლევების ხარჯები დაუფინანსა აღნიშნულმა სამსახურებმა 12 ადამიანს. მოქალაქეები მოგვმართავენ კომუნალური გადასახადების დავალიანების გადანაწილებასთან დაკავშირებით. 4 (ოთხ) მოქალაქეს შუამდგლომლობის საფუძველზე გადაუნაწილდა გაზის დავალიანება. ერთჯერად დახმარებაზე სოციალურად დაუცველმა ათმა ოჯახმა მოგვმართა, რომელიც გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობაში. ბინის ქირით 6-მა ოჯახმა მოგვმართა, რომელიც ასევე გლდანის გამგეობაში გადაიგზავნა და დაკმაყოფილდა. ასევე მაჟორიტარის მიერ, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ მომსახურების საქალაქო სამსხურთან შუამდგომლობით სრულად დაფინანსდა

მშობიარობის ხარჯები. მაჟორიტარი დეპუტატის შუამდგომლობით 5 სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილები სარგებლობენ გლდანის საცურაო აუზის აბონემენტით.

მაჟორიტარის ბიურომ მონაწილეობა მიიღო სოციალურ, საგანმანათლებლო, შემოქმედებით და სხვა სახის ღონისძიებებში. არაერთი დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ ოჯახებს. ადგილზე ვეცნობი მუხიანის მოსახლეობის სოციალურ პირობებს, პირადად გადავეცი რამოდენიმე ოჯახს გაზის გამათბობელი, ტელევიზორი და გავუწიე სხვა სახის დახმარება.

ჩემი თანამონაწილეობით მუხიანის რაიონში გაიხსნა ახალი სკვერები, დაიგო გზის დაზიანებული საფარი, გამაგრდა რამდენიმე ავარიული კორპუსი, მოეწყო გამწვანების აქციები მუხიანის მთელ ტერიტორიაზე. ჩემი შუამდგომლობით რეაბილიტაცია ჩაუტარდა სპორტულ მოედნებს რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

მუხიანი 2 დასახლებაში, წლების მანძილზე მოუგვარებელი პრობლემების მოწესრიგება დაიწყო, 4 000 (ოთხიათას) ოჯახზე მეტს გადაუწყვიტეს სასმელი წყლის პრობლემა, დასრულდა წყალმომარაგების ქსელების მშენებლობის სამუშაოები და ასევე ნაწილობრივ მოხდა ბუნებრივი აირის შეყვანა მათ კუთვნილ საცხოვრებლებში. ზემოთხსენებულ დასახლებაში არ არსებობს საგზაო ინფრასტრუქტურა, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელები.

მუხიანში ყოფილი სახლმმართველობის შენობაში 2008 წლიდან, ცხოვრობს რამოდენიმე იძულებით გადაადგილებული ოჯახი, რომლებიც იმყოფებიან უმძიმეს სოციალურ პირობებში. მათ არ ჰქონდათ შუქი და ბუნებრივი აირი. ჩემი ძალისხმევით ეს პრობლემა დღეს მოგვარებულია. დევნილები ითხოვენ შენობის დაკანონებას და საკუთრებაში გადაცემას, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით არაერთი შუამდგომლობა გადაიგზავნა, როგორც დევნილთა სამინისტროში ასევე სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში. აღნიშნული საკითხი ჩემი შუამდგომლობით შემოსულია ქ. თბილისის საკრებულოში ამა წლის 15 იანვარს, წერილის #06/594---„მუხიანის დასახლება, 4ბ მ/რ., #32ა-ში მდებარე უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე" და ველოდებით შესაბამის რეაგირებას საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით.

ჩემი შუამდგომლობით სამართლებრივი დახმარება გაეწია მრავალ მოქალაქეს, კერძოდ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურთან მოგვარდა სარდაფის უკანონო მიშენებისა და დაკისრებული ჯარიმის სამართლებრივი დავა. ამასთანავე მუხიანის მაცხოვრებლებს გაეწიათ

შუამდგომლობა ეკონომიკის სამინისტროსთან, ეკლესიის მშენებლობისთვის მიწის გადაცემის თაობაზე. ასევე სოციალურად დაუცველი მოქალაქეების, უკანონოდ სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სამართლებრივი კონსულტაცია და დახმარება. დეპუტატის მხრივ განსაკუთრებული ყურადღების სფეროა მრავალშვილიანი ოჯახების, სოციალურად დაუცველი, უნარშეზღუდული და შშმ ბავშვების თანადგომა, მათთვის შემოქმედებითი და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება, მათი საზოგადოებრივი ინტეგრაციის ხელშეწყობა და მზრუნველობა.

ჩემი ორგანიზებით ჩატარდა უფასო სამედიცინო გამოკვლევა, ისრაელ-საქართველოს ერთობლივი კლინიკა „გიდმედი - ხერხემლის ტკივილის მართვის ცენტრის" მიერ. უმაღლეს პროფესიონალ პერსონალთა მომსახურებით (გასინჯვა, გამოკვლევა, დიაგნოსტიკა და მკურნალობის ჩატარების ეტაპები) ისარგებლა 50 მოქალაქემ . ასევე შპს „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალურ ბანკთან", მაჟორიტარი წევრის ორგანიზებით და მონაწილეობით, მოეწყო აქცია „გაიღე სისხლი - გადაარჩინე სიცოცხლე". აქციის ფარგლებში სისხლი გაიღო 40 მოქალაქემ, რომლიც მიზნად ისახავდა ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის შემცირებას.

მუხიანის რაიონში, ჯერ კიდევ არის უამრავი პრობლემა სოციალური პირობების, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ფართების დაკანონების და ინფრასტრუქტურული პრობლემების მიმართულებით. ვფიქრობ, ერთობლივი ძალისხმევით კიდევ ბევრი პრობლემა გადაიჭრება მოსახლეობის სასარგებლოდ.

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია:

საანგარიშო პერიოდში განხორციელებულია მიმოწერა შემდეგ სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან:
შპს „თბილსერვის ჯგუფი", შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია", შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი", შპს „ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი", შპს „სინათლის ქალაქი", შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი", თბილისის პროკურატურა, ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თბილისის II სამმართველო, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გლდანის რაიონული გამგეობა, კეთილმოწყობის სამსახური, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური

მომსახურების საქალაქო სამსახური, თბილისის ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, თბილისის მერიის სსიპ-ი ქონების მართვის სააგენტო, მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქალაქო სამსახური, თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტო, მერიის სსიპი არქიტექტურის საქალაქო სამსახური, თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს საპატრიარქო, საქ. თავდაცვის სამინისტრო, საქ. ეროვნული უნივერსიტეტი, საქ. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, საქ. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, სოციალური სუფსიდიების სააგენტო, სს „ენერგოკავშირი", სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო", ტრანსპორტის საქალაქო სამსახური.

გაიმართა შეხვედრები ადგილობრივ ორგანიზაციებთან:

1. ააიპ-ის "ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის "თბილისი 2015"-ს საორგანიზაციო კომიტეტი"-ს ხელმძღვანელობასთან;
2. ააიპ-ის თბილისის ევროპული ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელობასთან;
3. სამოქალაქო ინიციატივების ახალგაზრდული ცენტრის „მომავალი" ხელმძღვანელობასთან;
4. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლებთან.
5. ა(ა)იპ „ახალგაზრდული ინიციატივებისა და სამოქალაქო განვითარების აკადემიური ცენტრი"-ს ინიციატივით, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდობა მსოფლიოსათვის" ორგანიზებით და აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის რესურს ცენტრი SALTO-ს მხარდაჭერით შემუშავებული პროგრამის „ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე" პრეზენტაციას.

6. შეხვედრები თბილისის ფედერაციებთან: უშუს (ლაშა სუმბულაშვილი), ფრენბურთის (სულხან ახვლედიანი), ფრისბის (ალეკო ედიშერაშვილი), კალათბურთის (ზვიად კოტრიკაძე), ჩოგბურთის(თორნიკე კიკნაველიძე), ფუტსალის(ზვიად ხაჩიაშვილი), თბილისის ტანვარჯიშის;

- სხვა სახის ინფორმაცია

კომისიის საქმიანობის პრიორიტეტს წამოადგენს თბილისის მასშტაბით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარებაში ხელშეწყობა, რაც ხორციელდება სპორტული და ახალგაზრდული პროგრამების შემუშავებით.

ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია და პრიორიტეტია სპორტის, როგორც სამოქალაქო ერთიანობის ხელშეწყობისა და ინტეგრაციულ პროცესებში დადებითი როლის მატარებელი ფაქტორის გამოყენება.

წარმოგიდგენთ საანგარიშო პერიოდში, კომისიის საქმიანობას, მის მიერ განხილულ პროექტებზე, განცხადებებს/წერილებზე მოხდენილი რეაგირების შესახებ დეტალურ ინფორმაციას:

კომისიამ წლის დასაწყისში, პირველივე სხდომაზე განიხილა რიგით მე-13 ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ,,თბილისი- 2015" მოსამზადებელი ღონისძიებები შესაბამისი ბიუჯეტით.

ფესტივალის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარების მიზნით განხორციელდა შესაბამისი სპორტული ცენტრების მშენებლობა-რეაბილიტაცია და მათი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მოწყობა. ოლიმპიური ფესტივალის მაშტაბურობიდან გამომდინარე და მისი მაღალ დონეზე ორგანიზებისათვის დახარჯულია 93 541 300 მლნ. ლ.

ოლიმპიადის ფარგლებში აშენდა:

- ფრენბურთის დარბაზი;
- მძლეოსნობის კომპლექსი;
- ტანვარჯიშის დარბაზი;
- სასტუმრო კომპლექსი;
- საერთაშორისო სტანდარტების მზიურის ჩოგბურთის კორტები, 1 ცენტრალური, 2 დახურული და 8 სათამაშო კორტი, ტევადობა-700 ადგილი.

სამინისტროს მიერ დაფინანსებული:

1. ახალი საცურაო კომპლექსი (ახალი თბილისის ტერიტორია)
2. ხელბურთის დარბაზი უნივერსიტეტის ქუჩა მაღლივ კორპუსთან.

რეკონსტრუქცია გაუკეთდა:

- ააიპ ,,მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის სასახლეს ვერის ბაღში;

- ააიპ ,,თბილისის მერიის მ. კეკელიძის სახ. ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრს" წერეთლის გამზირზე;
- ააიპ ,,თბილისის მერიის ოლიმპიური მზადების კომპლექსური სპორტული ცენტრს", რომელიც მდებარეობს ბელიაშვილის ქ. N5-ში;

თბილისმა 50 ქვეყნის 2,334 სპორტსმენს უმასპინძლა. ფრენბურთელები, ხელბურთელები, ძიუდოისტები, კალათბურთელები, მოცურავეები, ჩოგბურთელები, ტანმოვარჯიშეები, ველოსიპედელები და მძლეოსნები 6 დღის მანძილზე ოლიმპიური მედლების მოპოვებისთვის იბრძოდნენ.

საქართველო მედლების ჩათვლაში 50 ქვეყანას შორის მეათე ადგილზე გავიდა და ეს ძიუდოისტების დამსახურებაა. ძიუდოისტებმა შესანიშნავად იასპარეზეს და მასპინძლების 10 მედლიდან 9 სწორედ მათ მოიპოვეს, ერთი ბრინჯაოს მედალი კი საქართველოს ტანმოვარჯიშე დმიტრი გოვოროვმა (Dmitri Govorov) მოუტანა. ქართველი ძიუდოისტები თბილისი 2015–ზე ერთ–ერთი საუკეთესოები იყვნენ და საბოლოოდ ყველაზე მეტი, 9 (4–0–5) მედალი მოიპოვეს.

მედლების გარეშე დარჩნენ, თუმცა მეოთხედფინალებამდე მიაღწია ოთხმა ქართველმა ჩოგბურთელმა და ორივე, ვაჟთა და გოგონათა წყვილმა.

წელს ბ. პაიჭაძის სტადიონზე 11 აგვისტოს ჩატარდა მატჩი უეფას სუპერთასზე. ამ ღონისძიებისთვის გამოიყო 16 630 000 ლარი. სტადიონზე დამონტაჟდა 116 ტურნიკეტი, 55500 სკამი, ახალი ტაბლო და მოხდა მთლიანად მისი ევროსტანდარტებთან მისადაგება.

კომისიამ იმსჯელა საქართველოს მთავრობის დადგენილების N748 შესახებ, რომელიც ეხებოდა საქართველოში ჭადრაკის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებას. აღნიშნული დადგენილებით ჭადრაკის განვითრებისთვის 2015-2018წწ. გამოყოფილია 38 570 149 ლარი. ამ თანხიდან თებერვალში ვაჟთა შორის მსოფლიო გრან-პრის გათამაშება დაფინანსდა 105 000 (ას ხუთი ათასი) ლარით.

კომისიის სხდომებზე განხილული საკითხები:

ბორის პაიჭაძის ოჯახის თხოვნა შპს ,,დინამო არენა" -ზე კომერციული ფართების შენარჩუნების თაობაზე, რომელიც მერიასთან შეთანხმებით გადაწყდა დადებითად.

ახალგაზრდა ხელოვანთა ასოციაციის „არტ-თაუნი“-ს მიერ წარმოდგენილი ორი პროექტი „თბილისი დღეს და თბილისი ხვალ“ და „ახალგაზრდა ხელოვანთა თვალით დანახული ეკოლოგიური პრობლემები“. კომისიის შუამდგომლობის და დადებითი რეკომენდაციის მიუხედავად პროექტების დაფინანსება მერიის განათლების, სპორტისა და ახაგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურმა არ ჩათვალა მიზანშეწონილად.

ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ტურნირის დამტკიცება ტყვიით სროლაში "8 მარტი"-ი. ტურნირში მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურებში, თბილისის საკრებულოში, თბილისის გამგეობებში, მერიის დაქვემდებარებულ ა(ა)იპ–ებში და სსიპ–ებში დასაქმებულმა ქალბატონება.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ს თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დაფუძნების საკითხი კომისიამ დადებითად შეაფასა. საქართველოს მთავრობის 2015 წ. 1 ივნისის N1108 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სასახლის მიმდინარე წლის ბოლომდე შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გამოიყო 1 090,0 ათასი ლარი.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის და პარლამენტში რატიფიცირების შემდეგ დღის წესრიგში დადგა სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სპორტში, ამ შეთანხმების მოთხოვნათა პრაქტიკაში რეალიზაციის საკითხი. ამ კუთხით კომისიის მიერ ხელი შეეწყო სპორტულ/ახალაგაზრდულ ა(ა)იპე-ბის შექმნას და მათი რაოდენობა გაიზარდა 13-მდე. დაარსდა ააიპ „კულა გლდანელის სახელობის ქართული ჭიდაობის სპორტული ცენტრი“, ,,სპორტული ცენტრი ლილო“, „ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრი“, „კალათბურთის განვითარების სპორტული ცენტრი“, "ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი", "ინტეგრირებული სპორტული ცენტრი".

დაგეგმილია მათ ხელმძღვანელობებთან შეხვედრები.

კომისიამ დადებითი შეფასება მისცა თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების ,,სპორტული ღონისძიებები" (კოდი 8.6.1) და ,,ახალგაზრდული ღონისძიებების“ პროგრამის (კოდი 8.8) ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების დაფინანსების განხორციელების წესის

დამტკიცების შესახებ" საკითხებს. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თანახმად ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ შეიქმნა კომისია, რომელიც იხელმძღვანელებს დამტკიცებული დებულების შესაბამისად და მიიღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების/თანადაფინანსების შესახებ პროექტებზე თუ მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 10 000 (ათი ათასი) ლარს. კომისიას ხელმძღვანელობს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე და კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენლები, ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები. ისინი აქტიურად არიან ჩართული პროექტების განხილვაში, შეფასებაში და ერთობლივი მსჯელობით იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რამდენად მიზანშეწონილია წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება.

სპორტული ღონისძიებების ფარგლებში, ქვეპროგრამის კოდით 8.6.1 თბილისის სპორტული ფედერაციები დაფინანსებულია 744 362,7 ლარით.

საქართველოს დემოკრატიული და სტაბილური განვითარების საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მომავალი თაობა. ხელი შეეწყო ახალგაზრდების კვალიფიკაციის ამაღლებას, საერთაშორისო კონტაქტების დამყარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. 2015 წელს ბიუჯეტში ახალგაზრდული ღონისძიებებისთვის გამოყოფილია 1 850 ათასი ლარი. მიმდინარეობს ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობა, რომლის ბიუჯეტი შეადგენს- 1 მლნ.ლ.

კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით გამართული შეხვედრები და მათში მონაწილეობა:

იანვრის თვეში ჩემი ინიციატივით, საკრებულოს გერმანიის ქ. კარლსრუეს უნივერსიტეტის პროფესორი ზიგფრიდ კრაინერი სტუმრობდა. შეხვედრა ითვალისწინებდა ახალგაზრდული პროექტების დაგეგმვის და განხორციელების ხელშეწყობას.

აპრილში ჩემი ინიციატივით, საკრებულოს თავმჯდომარე ესპანეთის „ბასკონი"-სა და „ალავესი"-ს კლუბების გენერალურ დირექტორებს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდა თბილისის ევროპული ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელი ალუდა გოგლიჩიძე. მოხდა სპორტის განვითარების სფეროში გამოცდილების გაზიარება.

მონაწილეობა მივიღე გლდანის რაიონის მიერ ორგანიზებულ ჭადრაკის ჩემპიონატის, მინიფეხბურთის ტურნირის და რაგბის ჩემპიონატის დაჯილდოებებში და დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნის ღონისძიებაში.

კომისიის ხელშეწყობით კულა გლდანელის სახელობის ქართული ჭიდაობის სპორტულ ცენტრს ჩაუტარდა რესტავრაცია და ამჟამად უკვე ფუნქციონირებს.

საკრებულოს თავმჯდომარესთან, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრთან და მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსთან ერთად დავესწარი, დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 2014 წლის სპორტულ თემაზე გადაღებული ფოტოების გამოფენას.

ჩემი ინიციატივით საკრებულოში გაიმართა შეხვედრა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონ გოგონათა გუნდთან, რომლებსაც გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

მაისის თვეში დავაჯილდოვე სპორტულ ცეკვებში 2015 წ. ეროვნულ ჩემპიონი.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტთან ირმა პავლიაშვილთან შეხვედაზე განვიხილეთ საია-ს პროექტი „ინფორმირებული მოქალაქეები საჯარო სამსახურში", რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეთა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ჩართულობის უზრუნველყოფას.

21-23 მაისს, ევროპის კონსერვატორთა და რეფორმატორთა ალიანსისის მიწვევით ვიმყოფებოდი ქ. ვინჩესტერში (დიდი ბრიტანეთი), სადაც დავესწარი ევროპის კონსერვატორთა და რეფორმატორთა ალიანსის (AECR) საბჭოს და მონაწილეობა მივიღე ბორდის არჩევნებში. შევხვდი ალიანსის საბჭოს პრეზიდენტს იან ზარადილის და აღმასრულებელ მდივანს, რიჩარდ ნილსონს. საუბარი შეეხო ალიანსსა და საქართველოს კონსერვატიულ პარტიას შორის მჭირდო ურთიერთ თანამშრომლობას. ისინი საქართველოში მოვიწვიეთ, რაზეც მათი მხრიდან გამოითქვა მზაობა.

ივნისში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩემი ინიციატივით დედაქალაქში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ბავშვები და შშმ მოზარდები გრიბოედოვის სახ. სახელმწიფო თეატრში საბავშვო სპექტაკლს დაესწრნენ.

დავესწარი მინი წყალბურთში საერთაშორისო ტურნირს „ზუკას თასი 2015" და გამარჯვებული გუნდების დაჯილდოვებაში მივიღე მონაწილეობა.

ჩემი ინიციატივით საკრებულოში მსოფლიო „ალაფა 2015"-ის ფინალურ მატჩში გამარჯვებულ 20 წლამდე მორაგბეთა ნაკრების წევრების მიღება გაიმართა. მორაგბეებს ქართულ სპორტში შეტანილი წვლილისათვის მადლობის სიგელები გადაეცათ.

საკრებულოში საფეხბურთო კლუბ „ცხინვალი"-ს წევრების მიღება გაიმართა. ფეხბურთელებს ქართულ სპორტში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადავუხადეთ და ევროპის ლიგაზე წარმატება ვუსურვეთ.

კომისიის შუამდგომლობით განხორციელდა ანდრო ჟორდანიას მემორიალური დაფის განთავსება მისი საცხოვრებელი სახლის კედელზე.

დავესწარი თვითმმართველი ქალაქების რეგიონულ კონფერენციას, რომელიც ორგანიზებული იყო ქ. თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ.

18 ივლისი, 2015წ., თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეთან ერთად დავესწარი თავისუფლების მოედანზე საერთაშორისო ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015"-ის ცეცხლის ანთების საზეიმო ცერემონიალს.

18 ივლისი, 2015წ., თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან და წევრებთან ერთად დავესწარი ,,თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრის" საზეიმო გახსნის ცერემონიას.
შშმ პირებზე სრულად ადაპტირებული პარასპორტული არენა თბილისის მერიის ინიციატივითა და დედაქალაქის საკრებულოს მხარდაჭერით დაფუძნდა.
დავესწარი მერიისა და „საქართველოს აუტიზმის საზოგადოების" მხარდაჭერით ორგანიზებულ სპექტაკლს „პატარა უფლისწული".

21 ივლისი, 2015წ., ჩემი მხარდაჭერით გაიხსნა ქალთა ინტეგრირებული ტურნირი „თანადგომა 2015" და მასში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებთან ერთად მონაწილეობდა საკრებულოს გუნდი.

23 ივლისი, 2015წ., საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად დავესწარი „მზიურის" ტერიტორიაზე მდებარე ევროპული სტანდარტების შესაბამისი ჩოგბურთის კორტების გახსნის საზეიმო ცერემონიალს.

24 ივლისი, 2015წ., თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად დავესწარი თბილისის ზღვის შემოვლითი გზისა და თემქის დასახლებიდან თბილისის ზღვაზე ასასვლელი საავტომობილო კვანძის გახსნის ცერემონიალს.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან და თბილისის მერთან ერთად დავათვალიერეთ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015"-ის ინფრასტუქტურული პროექტების ფარგლებში განხორციელებული საგზაო სამუშაოები.

27 ივლისი, 2015წ., თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, თავმჯდომარის მოადგილეებთან და საკრებულოს წევრებთან ერთად დავესწარით ევროპის ახალგაზრდული მე-13 ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015" ოფიციალური გახსნის საზეიმო ცერემონიალს.

2 აგვისტო, 2015წ., დავაჯილდოვეთ სპორტის სხვადასხვა მიმართულებებში მოასპარეზე ახალგაზრდები.

დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, თავმჯდომარის მოადგილეები და საკრებულოს დეპუტატები, ევროპის ახალგაზრდული მე-13 ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015"-ის დახურვის საზეიმო, ფინალურ ცერემონიალს დაესწრნენ.

9 აგვისტო, 2015წ., თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გუნდმა ქალთა ინტეგრირებულ ტურნირში ,,თანადგომა 2015" პირველი ადგილი მოიპოვა. აღნიშნული ღონისძიება სპორტის პოპულარიზაციას, ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდასა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალთა აქტივობის ამაღლებას ისახავს მიზად. დავაჯილდოვეთ გამარჯვებულები.

დავესწარით ლილოს დასახლებაში თბილისში ყველაზე თანამედროვე და კეთილმოწყობილი ჭიდაობის დარბაზის გახსნას, რომლისთვისაც ქალაქის ბიუჯეტიდან 200 000 ლარი გამოიყო და შენობის სრული რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია განხორციელდა.
საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწყობილ კომპლექსში 600 კვ.მ ზომის სპორტული, საჭიდაო და მინი ფეხბურთის მოედანია განთავსებული, სადაც 300-მდე სპორტსმენი და მოზარდი შეძლებს ვარჯიშს.

18-27 სექტემბერს ვიმყოფებოდი ინგლისში, ქ. ბრისტოლში. ბრისტოლ - თბილისის ასოციაციისა და მისი პრეზიდენტის დერეკ პიკაპის ვიზიტის ფარგლებში, პირველი შეხვედრა, ქალაქ ბრისტოლის მერთან ჯორჯ ფერგუსონთან შედგა.
საუბარი შეეხო მუნიციპალური სერვისების მენეჯმენტის საკითხებს და ბრისტოლის ბიუჯეტის დაგეგმარება-გადანაწილებით საკითხს.
შევხვდით ბრისტოლის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებთან, ბრისტოლში მუნიციპალური ტრანსპორტის გადაადგილების, მუშაობის სქემის, სატრანსპორტო სფეროში არსებული მუნიციპალური სერვისების თავისებურებების თაობაზე.
შევხვდით „დესთინეიშენ ბრისთოლის" დირექტორს ჯონ ჰირცს, რომელმაც ისაუბრა ტურისტების მოზიდვის მეთოდებზე. კერძოდ, ვებ-გვერდზე, სადაც ბრისტოლის შესახებ სრული ინფორმაციაა განთავსებული. ბრისტოლში ჩატარდა კვლევა და გამოვლინდა ქვეყნები და ქალაქები, საიდანაც ბრისტოლში მეტი ტურისტი ჩადიოდა. მისი თქმით, ამის შემდეგ დაიწყო მუშაობა, რათა ბრისტოლსა და ამ ქალაქებს შორის პირდაპირი საჰაერო მიმოსვლისთვის მიეღწიათ.

შეხვედრა გაიმართა სოციალური საკითხების სამსახურის უფროსთან ანნა ჯოსლინგთან. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ქალაქის ჯანდაცვის მთელი სტრატეგია პრევენციაზეა აგებული. მისივე ინფორმაციით, კეთდება ყოველწლიური ანგარიშები მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და ამ მონაცემების მიხედვით იგეგმება ,ყოველი მომდევნო წელი და ბიუჯეტი.
ასევე გაიმართა შეხვედრა ბრისტოლის კოლეჯების გაერთიანების ხელმძღვანელ მალისტიარ ბეიკერთან გაცვლითი პროგრამების მომზადებასა
და ბრისტონელი ახალგაზრდა სპორტსმენების თბილისში ვიზიტის თაობაზე. მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შეთანხმებით, 15, 16 და 17 წლის ბრისტონელი რაგბისტების თბილისში ვიზიტის მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებულია.

ხოლო იგივე პროგრამით, მომავალ წელს ქ. ბრისტოლში ქართველი ახალგაზრდების საპასუხო ვიზიტი განხორციელდება.

დავათვალიერეთ ქ. ბრისტოლის მუნიციპალური სპორტკომპლექსის შენობა და შევხვდით მის ხელმძღვანელობას.

28 სექტემბერს მონაწილეობა მივიღე სტრასბურგში ჩატარებულ შეხვედრაში, სადაც მიწვეული ვიყავი ევროპის კონსერვატორთა ჯგუფის პრეზიდენტის ბატონ კრისტოფერ ჩოპის მიერ. საუბარი შედგა საქართველოში განხორციელებულ და

მიმდინარე რეფორმებზე, კერძოდ: სასამართლოსა და პროკურატურის სისტემაში გატარებულ რეფორმებზე.

საკრებულოში კომისიის თავმჯდომარესთან მოქალაქეების მიღება დაგეგმილია ყოველდღე, ოთხშაბათის გარდა. საკრებულოში, საანგარიშო პერიოდში, 246 მოქალაქესთან შედგა შეხვედრა, რომლებსაც გაეწიათ შესაბამისი დახმარება/კონსულტაცია.

გახლავართ საქართველოს კონსერვატიული პარტიის ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე.

კომისიაში შემოსულია 603 კორესპონდენცია, მათ შორის 481 საკრებულოს სხდომის მასალა და 122 განცხადება/წერილი. მომზადებულია 144 პასუხი. 122-დან შესრულებულია 119, განხილვის პროცესშია 3.

ჯერ კიდევ არის უამრავი პრობლემა სოციალური თემის კუთხით. თუმცა თქვენთან ერთად თანდათან ეს პრობლემები იქნება დაძლეული.

კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობიდან გამომდინარე ყველას აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ.

საკრებულოს მაჟორიტარი წევრი

ქეთევან ჯოხაძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ამა წლის 10/18494, 12.10.2015წ. წერილის შესაბამისად დამატებით გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარი წევრების ქეთევან ჯოსაძის, ნინო გოგუაძის და საკრებულოს წევრის დავით უთმელიძის მიერ ამომრჩევლებთან ანგარიშის ერთობლივი წარდგენა გაიმართება ამა წლის 28 ოქტომბერს, ოთხშაბათს, 18 საათზე, გლდანის რაიონის გამგეობის შენობაში, ნაცვლად წინა წერილში აღნიშნულისა.

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გლდანის რაიონის მუხიანის

მაჟორიტარი წევრი ქეთევან ჯოსაძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გლდანის რაიონის ლუწი მიკრორაიონების

მაჟორიტარი წევრი ნინო გოგუაძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

წევრი

დავით უთმელიძე

10/18494.

26.10.15.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსის
მოადგილე

ქ-ნ ს. ქვლივიძეს

რეზოლუციის შესაბამისად.

#10/18494
22.10.2015

აპარატის უფროსის მოადგილე
ე. კაპანაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს აპარატის უფროსი

ქ-ნ ე.კაპანაძეს

რეზოლუციის შესაბამისად

№10/18494

აპარატის უფროსი
ე. დუმბაძე

22.10.15

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ქ-ნ ე. დუმბაძეს

შესაბამისი რეაგირებისთვის.

გიორგი ალიბეგაშვილი
22.10.15წ.

№10/18494
21.10.15 წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ამა წლის 10/18494, 12.10.2015წ. წერილის შესაბამისად გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან გამართონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან, წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ და უპასუხონ დასმულ შეკითხვებს.

მოგაწვდით ჩემს მიერ ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენის დროსა და ადგილის შესახებ ინფორმაციას. ქ. თბილისის გლდანის რაიონის მუხიანის დასახლების ამომრჩევლებთან შეხვედრა გაიმართება მუხიანის მუნიციპალიტეტის ოფისში, ამა წლის 28 ოქტომბერს, ოთხშაბათს, 13 სთ., მისამართი: ქ. თბილისი, მუხიანის IV ა მიკრორაიონი, კორპუსი 9.

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გლდანის რაიონის მაჟორიტარი წევრი

ქეთევან ჯოხაძე

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების მართვის მმართველობა
შემოვიდა რეგისტრაცია ... ფურცელი

№10/18494 21.10.15

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრს

ქალბატონ ქეთევან ჯოხაძეს

ქალბატონო ქეთევან,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. ანგარიში ძირითადად უნდა მოიცავდეს: **საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას; საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაციას; ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაციას; ასევე, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას და ა.შ.**

გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ ინფორმაცია ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენის ადგილის, თარიღისა და სხვა დამატებითი დეტალების შესახებ არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა, რადგან საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს შესაბამისი გრაფიკის შედგენა. საკრებულოს წევრს თავისი სურვილის შესაბამისად უფლება აქვს გამოიყენოს საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა ანგარიშის წარსადგენად. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საჯაროდ ცხადდება საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, წარდგენიდან 10 დღის ვადაში. შესაბამისად, გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ შესაბამისი ანგარიში წარდგენიდან 3 დღის ვადაში წერილობითი სახით.

დანართის სახით გიგზავნით, საკრებულოს წევრის ანგარიშის ნიმუშს.

პატივისცემით,

საკრებულოს აპარატის უფროსი ელენე დუმბაძე

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატი
№ 10/18494
"12" ოქტომბერი 2015 წ.
ფურცელთა რაოდენობა 3 ფურცელი
0105, თავისუფლების მოედანი №2

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ----

2015 წლის ანგარიში

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაცია

- ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

- სხვა სახის ინფორმაცია

საკრებულოს წევრი

(სახელი; გვარი) *(ხელმოწერა)*

10/18494
12.10.16

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრს

ქალბატონ ქეთევან ჯოხაძეს

ქალბატონო ქეთევან,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. ანგარიში ძირითადად უნდა მოიცავდეს: საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას; საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაციას; ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაციას; ასევე, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას და ა.შ.

გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ ინფორმაცია ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენის ადგილის, თარიღისა და სხვა დამატებითი დეტალების შესახებ არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა, რადგან საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს შესაბამისი გრაფიკის შედგენა. საკრებულოს წევრს თავისი სურვილის შესაბამისად უფლება აქვს გამოიყენოს საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა ანგარიშის წარსადგენად. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საჯაროდ ცხადდება საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, წარდგენიდან 10 დღის ვადაში. შესაბამისად, გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ შესაბამისი ანგარიში წარდგენიდან 3 დღის ვადაში წერილობითი სახით.

დანართის სახით გიგზავნით, საკრებულოს წევრის ანგარიშის ნიმუშს.

პატივისცემით,

საკრებულოს აპარატის უფროსი ელენე დუმბაძე

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ----

2015 წლის ანგარიში

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაცია

- ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

- სხვა სახის ინფორმაცია

საკრებულოს წევრი

(სახელი; გვარი) *(ხელმოწერა)*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსის
მოადგილე

ქ-ნ თ. გვაზავას

რეზოლუციის შესაბამისად.

#10/18494;10/18530;10/18500
28.10.2015

აპარატის უფროსის მოადგილე
ე. კაპანაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსის
მოადგილე

ქ-ნ თ. გვაზავას

რეზოლუციის შესაბამისად.

#10/18494
22.10.2015

აპარატის უფროსის მოადგილე
ე. კაპანაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს აპარატის უფროსი

ქ-ნ ე.კაპანაძეს

რეზოლუციის შესაბამისად

№10/18494

აპარატის უფროსი
ე. დუმბაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ქ-ნ ე. დუმბაძეს

შესაბამისი რეაგირებისთვის.

გიორგი ალიბეგაშვილი
22.10.15წ.

№10/18494
21.10.15 წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ამა წლის 10/18494, 12.10.2015წ. წერილის შესაბამისად გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან გამართონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან, წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ და უპასუხონ დასმულ შეკითხვებს.

მოგაწვდით ჩემს მიერ ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენის დროსა და ადგილის შესახებ ინფორმაციას. ქ. თბილისის გლდანის რაიონის მუხიანის დასახლების ამომრჩევლებთან შეხვედრა გაიმართება მუხიანის მუნიციპალიტეტის ოფისში, ამა წლის 28 ოქტომბერს, ოთხშაბათს, 13 სთ., მისამართი: ქ. თბილისი, მუხიანის IV ა მიკრორაიონი, კორპუსი 9.

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გლდანის რაიონის მაჟორიტარი წევრი

ქეთევან ჯოხაძე

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
შემავალი რეგისტრაციის ___1___ ფურცელი
№10/18494 21.10.15

საქმეში 27.10.2015

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრს

ქალბატონ ქეთევან ჯოხაძეს

ქალბატონო ქეთევან,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. **ანგარიში ძირითადად უნდა მოიცავდეს: საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას; საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაციას; ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაციას; ასევე, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას და ა.შ.**

გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ ინფორმაცია ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენის ადგილის, თარიღისა და სხვა დამატებითი დეტალების შესახებ არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა, რადგან საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს შესაბამისი გრაფიკის შედგენა. საკრებულოს წევრს თავისი სურვილის შესაბამისად უფლება აქვს გამოიყენოს საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა ანგარიშის წარსადგენად. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საჯაროდ ცხადდება საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, წარდგენიდან 10 დღის ვადაში. შესაბამისად, გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ შესაბამისი ანგარიში წარდგენიდან 3 დღის ვადაში წერილობითი სახით.

დანართის სახით გიგზავნით, საკრებულოს წევრის ანგარიშის ნიმუშს.

პატივისცემით,

საკრებულოს აპარატის უფროსი ელენე დუმბაძე

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატი
№ 10/18494
"12" ოქტომბერი 2015წ.
ფურცელთა რაოდენობა 3 ფურცელი
0105, თავისუფლების მოედანი №2

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ----

2015 წლის ანგარიში

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაცია

- ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

- სხვა სახის ინფორმაცია

საკრებულოს წევრი

(სახელი; გვარი) *(ხელმოწერა)*